სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს უფროსს
ქალბატონ ელენე ღუბიანურს

ი/მ თორნიკე აშვეთიას (ს/კ 53001002315)
თევზსაშენი მეურნეობის გზშ-ს ანგარიშის

ხარვეზებზე დაზუსტებული ინფორმაცია

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 13 მარტის N21/3396 ხარვეზის წერილში მოცემული შენიშვნების საფუძველზე წარმოგიდგენთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გეგუთის 35-ე ქუჩა N10-ში ი/მ თორნიკე აშვეთიას (ს/კ 53001002315) თევზსაშენი მეურნეობის მოწყობისა და ექსპლუატაციის გზშ-ს ანგარიშის გამოვლენილ შენიშვნებზე **რეაგირების ცხრილს** კერძოდ:

საკითხი: ა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე განცხადებაში მითითებულია თევზსაშენი მეურნეობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გზშ-ის ანგარიში. თუმცა ზემოაღნიშნული საქმიანობა არ წარმოადგენს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას და შესაბამისად, განცხადებაში მითითებული ტექნიკური ხარვეზი შესასწორებელია;

განმარტება: ა) აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი - „განცხადებაში მითითებულია თევზსაშენი მეურნეობის მოწყობისა და ექსპლუატაციის **პირობის ცვლილების** გზშ-ის ანგარიში" დაფიქსირებულია **გამაცილებელ წერილში,** ამჟამად ხარვეზი გასწორებულია განცხადებაში.

საკითხი: **ბ)** განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია 29.14.32.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის Shp-ფაილები და მასზე არსებული ტბორები (შემცირებული ფართობებით). ვინაიდან საქმიანობა არ არის დაგეგმილი ზემოაღნიშნულ მთლიან მიწის ნაკვეთზე, არამედ მის მცირე ნაწილზე (ტბორები), კანონმდებლობის მოთხოვნის (გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის Shp-ფაილები) შესაბამისად, Shp-ფაილებში არ უნდა იყოს მოცემული მთელი მიწის ნაკვეთი (ს/კ 29.14.32.002);
საკითხი: **გ)** გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ტბორისთვის საჭირო წყალაღება მოხდება სამელიორაციო არხიდან (წყალაღების კოორდინატები: X-310203, Y-4673749), საიდანაც სპეციალურად მოწყობილი 7 მეტრის სიგრძის (d-700 მმ) მილსადენის საშუალებით მოხდება წყლის შედინება დიდ ტბორში და წყალი პატარა ტბორში გადავა თვითდინებით. ადგილი ექნება წყალჩაშვებას მდ. რიონში პატარა ტბორიდან 120 მეტრის სიგრძის (d-500 მმ) მილსადენის საშუალებით (წყალჩაშვების კოორდინატები: X-310833, Y-4673559). აღნიშნულის გათვალისწინებით, Shp-ფაილებში ასევე მოცემული უნდა იყოს წყალაღება/წყალჩაშვების წერტილები და მილსადენები;

განმარტება: გამოსწორებული იქნა აღნიშნული ხარვეზი და წარმოგიდენთ მხოლოდ დაგეგემილი საქმიანობისათვის საჭირო ტერიტორიის - დიდი და პატარა ტბორეის Shp-ფაილებს შესაბამისი დასახელებებით (მათ შორის მისასვლელი გზებით, წყალაღებისა და წყალჩაშვების წერტილებისა და კოორდინატების, მილსადენის Shp-ფაილების მითითებით. აქვე გაცნობებთ, რომ 2026 წლის 19 მარტს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიას საკ. კოდი: 29,14.32.002 ჩამოეჭრა და გასხვისებული იქნა 6000 კვ.მ, რომელზეც განთავსებული ფერმა, მაგრამ მიუხედავად იმისა რომ შემცირებული იქნა ტერიტორიის ფართობი, დაგეგმილი საქმიანობის - თევზსაშენი მეურეობის მოსაწყობ ტერიტორიაზე ტბორებზე რაიმე გავლენა არ მოუხდებია, გარდა იმისა რომ შეიცვალა საკადასტრო კოდი და მიენიჭა ახალი საკადასტრო კოდი: 29.14.32.602.

სსიპ გარემოს ეროვნული
სააგენტო
"06" 04 2026 წ
№ 4978